KA030159937996019

**№ 01-8296** **15 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, კახაბერ
ძიმისტარიშვილის

## მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული საკითხების საკოორდინაციო საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეისწავლა შპს „ალიანს მედი+"-ის კუთვნილი 100% წილის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" მიერ გამოსყიდვის საკითხი (დმანისის საავადმყოფო) და მოხსენებითი ბარათით მიმართა მინისტრის პირველ მოადგილე ზაზა ბოხუასა და მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაურს.
მათთვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ, მივიღეთ გადაწყვეტილება იგივე მოხსენებითი ბარათი (თან ერთვის 2019 წლის 5 აგვისტოს № 01-7873 მოხსენებითი ბარათი) წარმომედგინა თქვენთვის, რათა მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება აღნიშნული მასალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსათვის გადაგზავნი შესახებ.
თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ, დაავალოთ მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაურს შემდგომი პროცედურების განხორციელება შიდა აუდიტის დეპარტამენტთან კოორდინაციით.

პატივისცემით,

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კახაბერ ძიმისტარიშვილი